მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| | 1 წ. | 6 თ. | | 3 თ. | | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მ. | მ. | კ. | მ. | კ. | მ. | კ. |
| თბილისში. | 5 | 2 | 50 | 1 | 25 | — | 50 |
| თბილ. გარ. | 6 | 3 | — | 2 | — | — | 60 |
| საზღ. გარ. | 10 | 5 | — | 3 | 50 | — | 1 |

შინაარსი:

1) ჰააგის მეორე სამშვიდობო კონფერენცია და მომავალი სოციალური რევოლიუცია. 2) ფელეტონი: ესკიზი ანარქისტულ ფილოსოფიისა. 3) ახალი ამბები. 4) რუსეთის ქრონიკა. 5) დეპეშები.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ა დ რ ე ს ი: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

№ 10 პარასკევი 16 ივნისი 1906 წ. თბილისი № 10

## ჰააგის მეორე სამშვიდობო კონფერენცია და მომავალი სოციალური რევოლიუცია.

გაზეთების სიტყვით ჰააგის მეორე სამშვიდობო კონფერენცია შემდეგ წლისათვის გადაუდვიათ, ეხლა კი სახელმწიფოები შედგომიან დიდ მზადებას. პირველ შეხედვაზე მუშას და საზოგადოთ ყველა მას, ვისაც არ ქონდა დრო და საშუალება გაეთვალისწინებია და აეწონ-დაეწონა ჰააგაში სამშვიდობო კონფერენციის წარმოშობის ნამდვილი მიზეზები, შეიძლება, ეჩვენოს ის უებარ წამლათ სისხლის მორევში ცურვისაგან თავის განთავისუფლებისათვის და მიეგებოს მას დიდი თანაგრძნობით და იმედებით. ხუმრობაა! გვირგვინოსანი მეფეები, რომელთა მუდმივ ცდას მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სხვა აგრეთვე გვირგვინოსან მეფეების ნაჭერ მიწის წართმევას შეადგენდა ომების საშუალებით, ეხლა, ვითომც, აცხადებენ სურვილს—თავი დაანებონ სისხლის ღვრას და იწყოს მშვიდობიანი, ყველა ერებთან ძმური ცხოვრება?! განა გასაკვირველი არ არის, როცა ჯიბეებ გატენილი ბურჟუები მიდიან კონფერენციაზე და მშვიდობიანობის დასამყარებლათ აქნევენ აღელვებით ხალხთა სისხლით სქლათ შეხებილ ხელებს და მჭერმეტყველობენ მშვიდობიანობის დასამყარებლათ იგივე ენით, რომელიც ყოფილა და არის ნამდვილათ მხოლოთ მტრობის, ბოროტების სათავე?! ნუ თუ ყველა ამ საკვირველებას არ აღემატება ის გარემოება, რომ ამ კომედიას უერთდება სამღვდელოებაც, რომლის მოგონებაზე გული გვიშფოთავს და გონება გვერევა „წმინდა ინკვიზიციის" დაუსრულებელ მსხვერპლთა ღრმა კვნესით?! აქვე სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ზევით ჩამოთვლილთ ამ კონფერენციაზე ემატებიან პირნი, რომელნიც მართლა გულწრფელათ მოქმედობენ და კეთილშობილური გრძნობებით აღსავსენი არიან; მათ გონიათ, რომ ამ გზით საერთაშორისო მშვიდობიანობას ჩამოაგდებენ და ამიტომ იღწვიან კიდეც თავგამოდებით. როგორც მახსოვს, ნემეცური გაზეთების გადმოცემით ბ. ვიტტე იქმნა ამორჩეული გაისისთვის კონფერენციის თავმჯდომარეთ, უთუოდ მის პორტსმუტში ბრწყინვალე გამარჯვების გამო. ერთის სიტყვით ვილჰელმები, ედუარდები და დანარჩენი მათიანები, როტშილდები, ნობელები, ვან-კოლები და სხვანი ამისთანები, არხიმანდრიტები, კარდინალები, სხვა და სხვა გვარი ეპისკოპოსები და კათალიკოსები, პროფესორები, ბურჟუაზიული ჟურნალისტები და სხვა და სხვა მინისტრები, ქალბატონი სუტნერი მისი მიმდევრებით და მეგობრებით—აი საერთა-შორისო კონცერტის შემადგენელნი პირნი, რომელთა ტკბილმა ხმამ უნდა დააცხროს ბოროტ ვნებათა ღელვა, გაფანტოს და მოსპოს ბინძური განზრახვანი და შეაყვაროს და ნიშნათ ძმობისა გააწვდენიოს ხელი ნემეც ფრანგისათვის, ვენგრიელისათვის, ჩეხისათვის, სლავიანებისათვის, ინგლისელს რუსისათვის, რუსს იაპონელისათვის, სომეხს თათრისათვის...

მაგრამ მათი ტკბილ-ტკბილი სიტყვები ჩვენ ვერ მოგვატყუებენ; ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მათი მოქმედება ზემო-აღნიშნულ სურათს ვერ გაგვიხორციელებს; ჩვენ ვიცით რომ, მაშინ, როცა ისინი რბილ ხავერდიან კრესლოებში მოსვენებით ჩაშვებულნი, ტკბილ ბაასში იქნებიან გართულნი, მათი წყალობითვე სულ ადვილათ შეიძლება ევროპის შიგ შუა გულში იფეთქოს ცეცხლმა; იმნაირათ არის დახლართული ევროპაში პირველ-ხარისხოვანი სახელმწიფოების შორის დამოკიდებულებანი, რომ საკმარისია მხოლოთ ერთი ნაპერწკალი, რომ რამოდენიმე დღის განმავლობაში ალი მოედოს ევროპას და აზიას—შორეულ აღმოსავლეთში. ეს კარგათ ესმისთ სახელმწიფოებს და ისინი მათგანი, რომლებისათვის ეს ალი ან ნაადრევია და ამიტომ ჯერ არა სასურველია, ან და არაფერს შესძენს, თუ არას დააკლებს, ტყავიდან ძვრებიან, რათა მშვიდობიანობა დროებით არ დაირღვეს. ინგლისი იძლევა წინადადებას—შევამციროთ სამხედრო საქმეებისათვის ხარჯიო მოვაკლოთ ჯარის კაცები და მაგალითს თვითონვე გვიჩვენებს; გაზეთები*) გადმოგვცემენ, რომ ინგლისმა ათი ათასი კაცი მოაკლო თავის ჯარსო. მაგრამ ამით მშვიდობიანობის საქმეს, რასაკვირველია, არაფერი მომატებია. წარმოვიდგინოთ, რომ სხვა სახელმწიფოებმაც ამისდა მიხედვით მოაკლეს თავის ჯარს კაცები პროპორციონალურათ და შემდეგ კი აღარც მოუკლეს და აღარც მოუმატეს მას. რა შედეგი ექნება ამას? ინგლისს დღეს მსოფლიო სახელმწიფოს სახელი. და ძალა აქვს; ის ბატონია დღეს; მისი სამხედრო ფლოტი თავის ძლიერებით და გამოცდილებით შიშის ზარსა სცემს არა ერთ რომელიმე სახელმწიფოს, არამედ ორსა სამს, ერთად შეერთებულებსა; ასე რომ, სახელმწიფოების პროპორციონალურათ ჯარის შემცირებით, ინგლისის და სხვა სახელმწიფოების ხალხთა ძალების ურთიერთ დამოკიდებულება სრულიათაც არ შეიცვლება; პირიქით ინგლისის დღევანდელი მდგომარეობა უფრო განმტკიცდება და დაკანონდება; ამას ცხადია, კარგათ ხედვენ სახელმწიფოები. ერთი მხრით ისინი მონაწილეობას იღებენ სამშვიდობო კონფერანციაში, მეორე მხრით გაცხარებით ამზადებენ და უმატებენ ფლოტს, ჯარს: საფრანგეთი ფლოტის მომატების და მის რეორგანიზაციის ცდაშია, გერმანია რამოდენიმე მილლიონ მარკას აძლევს სამხედრო სამინისტროს ფლოტის გასაძლიერებლათ, ავსტრია ამ უკანასკნელ წლებში სულ იმას ცდილობს, რომ ჯარის კაცთა რიცხვი მოუმატოს, რამოდენჯერმე თხულობდენ 20,000 ჯარის კაცით მეტს, იტალიასაც ფლოტი მოჰყავს რიგზე, სულთანი ორ თანამედროვე ტეხნიკის მხრით ძლიერ კარგ სამხედრო გემს ჰყიდულობს ამერიკიდან, რუსეთის ძრიელი, უკაცრავათ, ეხლა უკვე იაპონიის ფლოტი მრისხანეთ იბღვირება შორეულ აღმოსავლეთიდან ადმირალ ტოგოს მეთაურობით. აი მშვიდობიან მოქმედება და მშვიდობიან სიტყვებს შორის გულის დამაამებელი ჰარმონია, თუ გინდათ, ეს არის! მუშა და გლეხი საზოგადოთ სახელმწიფოების სიტყვას და საქმეს გამოცდილებით კარგა უნდა იცნობდენ, რომ სხვა-და-სხვა პარტია და—კრატია არ უბნევდეს მას გზას. ვსთქვათ, რომ მათ, როცა ჰააგაში სამშვიდობო კონფერენციას მართავენ, ამოქმედებს ხალხისადმი სიყვარული და მისი კეთილ-დღეობა. მერე რა? ამგვარი მოქმედებით მათ ხომ არ შეუძლიათ თავის მიზნით მიღწევა! ჩვენ ათასჯერ გვითქვამს, რომ საერთა-შორისო მშვიდობიანობა, ძმობა და სრული სოლიდარობა დამყარდება მხოლოდ მაშინ, როცა სრულიათ მოისპობა თანამედროვე კაპიტალისტური წეს-წყობილება, როდესაც დამყარდება სრული თავისუფლება, რაც გამოიხატება ეკონომიურ და პოლიტიკურ მონობის უღლის კისრიდან მოშორებაში. მაშასადამე საჭიროა კაპიტალიზმის დამხობა და დანგრევა ყოველგვარ სახელმწიფურ ფორმისა, სულ ერთია—აბსოლიუტური მონარქიაა ის თუ კონსტიტუციონალური, რესპუბლიკაა თუ თვით სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო. ყველა აქ ჩამოთვლილ სახელმწიფურ ფორმებს აქვსთ უფლება, მრავალ ძალ-დატანებითი ორგანოები, რომელთა შემწეობით ისინი უსათუოდ წინ უნდა აღუდგნენ ყველა იმ ახალ მიმართულებებს, რომელნიც განსხვავდებიან ან ეწინააღმდეგებიან სახელმწიფურ პრინციპებს. ასე რომ განხორციელებულმა სოციალ-დემოკრატიულმა სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა ჩაამწყვდიოს ციხეებში მაგალითად ათასობით და ასი ათასობით პროლეტარიატი — ანარქისტები იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი ებრძვიან ყოველივე სახელმწიფოს და სხვათა შორის სოციალ-დემოკრატიულსაც. ამნაირათ სოციალ-დემოკრატიული რევოლიუცია ბოლოს და ბოლოს მით გათავდება, რომ ს.-დემოკრატია შეღებავს მეტეხის ან პეტრეპავლოვის ციხეებს წითლათ და შიგ ჩასვამენ პ. კროპოტკინს, მალატესტას და სხვ., როგორც მავნებელ, ურჩ ელემენტებს. ამნაირ გარემოებში კი არ შეიძლება ძირითადი ცვლილება მოხდეს საზოგადოებრივი წეს-წყობილებისა. ყველა წასულ რევოლიუციის დროს ოპპოზიციონური მხრის ყურადღება იქითკენ იყო მიქცეული, რომ გაბატონებული კლასსი დაემარცხებია ან მთავრობა ჩამოეგდო და თვით დაეკავებია მათი ადგილი. მოკლეთ

*) Berliner Tageblatt, Donnerstag den 14 Iuni 1906 წ. მოწინავე წერილი

რომ ვსთქვათ, ხდებოდა ხოლმე მთავრობის შეცვლა და ერთი სოციალური კლასის მაგივრად მეორეს გაბატონება. ჩვენ კი უნდა ვებრძოლოთ ყოველნაირ ბატონობას და ამიტომ გვეზიზღება სოციალ-დემოკრატებისაგან მრავალნაირათ ქებული „პროლეტარიატის დიქტატურა''. ეს ისე მარტივია ყველასათვის, ვინც ცოტათი შეიწუხებს თავს და გადაავლებს თვალს წასულ რევოლიუციების ისტორიას, რომ მის არ აღიარება და მის თანახმათ არ მოქმედება იქნება მისთანა შეცდომა, რომელიც შეიძლება ცოტათი განირჩეოდეს თვით ბოროტმოქმედებისაგან. ყველა ნათქვამიდან თავის თავათ ცხადია, რომ მუშა ვერ დაუჯერებს და ვერ დაამყარებს თავის იმედებს ვერც გვირგვინოსან უფლებების მქონეთა ვითომც კეთილ განზრახვებზე, ვერც სამღვდელოების ტკბილ გალობაზე, ვერც მრავალნაირ ბურჟუაზიულ იდეოლოგების რჩევაზე, ვერც სხვა და სხვა ფერის ბურჟუაზიული აზრებით მოცულ სოციალისტების, მათ შორის სოციალ-დემოკრატების, ვითომც სოციალისტურ და რევოლიუციონურ პროპაგანდაზე. მას დღე და ღამ უნდა ახსოვდეს, რომ მისი განთავისუფლება უნდა იქნეს მისივე საქმე; ის ყველაფერს გვერდს უნდა უხვევდეს, რაც აფერხებს სოციალისტურ რევოლიუციის მომენტის მოახლოვებას; ამიტომ არც კი უნდა მიაქციოს მან ყურადღება საერთაშორისო სხვა და სხვა სამშვიდობო კონფერენციებს, პარლამენტს, ,,დუმას'', რესპუბლიკას, სოციალ-დემოკრატიულ სახელმწიფოს და პირდაპირ ახლავე მედგრათ შეუდგეს მზადებას სოციალისტურ რევოლიუციის მოსახდენათ.

დონ-ჯან.

# ახალი ამბავი

ბათუმში დიდძალი ჯარი გაიგზავნა. ქუთაისიდან გაიგზავნა ტყვიის მტყორცნელთა როტა; ტფილისიდან ორი ბატალიონი მსროლელებისა და ნაწილი არტილერიისა, 13 ივნისს ალექსანდრეპოლიდან გაიგზავნა რვა ბატალიონი.

— როგორც მკითხველებს ეხსომებათ, მარტის ბოლო რიცხვებში მინგრელსკის მე-16 გრენადერის პოლკში შეტაკება მოხდა განმათავისუფლებელ მოძრაობის ნიადაგზე. შეტაკების დროს 6 კაცი დაიჭრა. ამ საქმის გამო პასუხის გებაში მიცემულია 27 სალდათი, რომელთა საქმე უკვე გადაეცა სასამართლოს. საქმეს ახლო მომავალში განიხილავენ.

— გენერალ-გუბერნატორის თხოვნის თანახმად ქალაქის თავმა დაავალა გამგეობის წევრს თავადს არგუთინსკი-დოლგორუკოვს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის საშვალებით თვალყური ადევნოს, რომ პირობები მეპურეთ და მათს მოსამსახურეებს შორის შესრულებულ იქნეს.

— ნამესტნიკმა რკინის გზის უმფროს წინადადება მისცა, უკანვე მიიღონ ამას წინათ, დათხოვნილი რკინის გზის მსახურები, ისინიც კი, რომელნიც სამართალში იყვნენ მიცემული და აქნამდის სამსახურში შესვლის ნებას არ აძლევდენ.

— რკინის გზის ბუფეტების პატრონებს ამ დღეებში აზრათ აქვთ მოიწვიონ თბილისში კრება, რომ მოაწესრიგონ თავიანთი საქმეები.

— ამავე დღისთვის დანიშნული კრება უმუშაოთ დარჩენილის ინტელიგენტებისა, გადაიდვა 17 ივნისისათვის, მიუხედავათ იმისა, რომ კრებაზე ბევრი ხალხი მოვიდა.

— გუშინ ქალაქში სალდათების საქმის გარჩევის გამო არეულობის მოლოდინი ჰქონდათ, რისთვისაც ქუჩებში გაძლიერებული პატრულები დადიოდენ.

— 22 ივნისიდან გამოდის ახალი გაზეთი „გლეხი''.

— გენერალ-გუბენატორის განკარგულებით გაანთავისუფლეს მეტეხის ციხიდან შემდეგი პირები: პ. კლიმიაშვილი, სინკევიჩი, შენგელია, ჩუმაკი, ფანჯაკიძე, ივ. ჩერნიკოვი, პ. გორგაძე, ბ. ბერიძე, ის. ბოსიკაშვილი, ტოლპეევი, პ. ბეზდეტონჩნი და გ. ჩლაიძე. ყველა ესენი მსახურებდენ რკინის გზაზე განჯაში, საიდანაც თბილისის ციხეში გადმოიყვანეს.

— მეტეხის ციხის ტუსაღებმა მოთხოვნილება წარადგინეს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ ციხის ადმინისტრაციას.

— 15 ივნისს სამხედრო სასამართლოში დანიშნული იყო გასარჩევათ საქმე 27 მინგრელსკი პოლკის სალდათისა. მათ ბრალდებათ არეულობაში მონაწილების მიღება.

# პატარა ფელეტო[ნი]

(სოციალ-დემოკრატია და აგრ[...] დისას ზოგიერთი მუშები, [...] თუ, როგორ მოვექცეთ ანარქ[...] გაზეთებს მას შემდეგ, რაც [...] ნომერ გაზეთ ,,მუშამდე''.

ს.-დ. პ.

სოც.-დემოკრატი. (აგიტაცია[...] მართავს მუშებს) ამხანაგებო[...] ბო!!! იცით რას გეტყვით? წმიდათა წმიდა მარქსი და მა[...] დიდებული აზრები მეგვილახე[...] ოედ წოდებულ ანარქისტ-კომ[...] ტებმა, რომლებიც თითო ორ[...] ჩამოგვეერიენ აქა იქ; წაიკითხე[...] არა პირველი ნომერი გაზეთი[...] შა“, როგორ გვლანძღავენ ანარ[...] ტები? როგორ მყრალი ენით [...] კამათებიან.

მუშა. არა ბატონო, არა, არ გვიკითხავს, რა იყო საამისო, [...] ასეთ გაგაჯავრათ, ჩვენ ვერ გა[...] გებიეთ? რა ეწერა შიგ!

სოც.-დემ. ხუ თუ დაივიწყე[...] თქვენ არ წაგიკითხავთ?

მუშ. საიდან წავიკითხამდით [ბა]ტონო! ჩვენ გვეშინია თქვენი გაზეთის წაკითხვისთვისა, და [...] თვის არ ვკითხულობთ.

ს.-დემ. კი ეს მართალია, არ [...] და წაიკითხოთ, და არც არის [...] სი მაგისთანა გაზეთის წაკით[...] მაგრამ შემთხვევით არავინ თქვე[...] ნი არ შეხვედრია პირველ ნომე[...]

ერთი მუშათაგანი. კი ბატონო, [...] ვნახე და წევიკითხე კიდევაც პირ[ვე]ლი ნომერი.

ს.-დემ. მერე რას გაყუჩებ[ულ] ხარ? ვერ იტყვი შენ ამხანაგებ[...]

# ფელეტონი

### ესკიზი ანარქისტულ ფილოსოფიისა.

I. მთავრობა და მისი ხასიათი:

1) მმართველობა.

2) სახელმწიფო.

II. ზეციერი მთავრობა და მისი კანონმდებლობა:

1) ღვთაებრივი განგება და მისი კანონი: ა) ზეციერი მთავარი, ბ) წეს-რიგი.

III. სახელმწიფოს წარმოშობა და განვითარება:

1) პირველ ყოფილი მთავრობა: კანონი, იძულება, საკუთრება.

2) პატრიარქალური ოჯახი: კანონი, იძულება, საკუთრება.

3) მთავარი, ხელმწიფე, სახელმწიფო: კანონი, პარლამენტი, იძულება, კერძო საკუთრება კაპიტალიზმი.

IV. საზოგადოებრიობა და მისი ხასიათი:

1) კავშირი ბრძოლისათვის: ა) კოოპერაცია, ბ) თავისუფალი, ბუნებრივი შერჩევა საზოგადოებაში.

V. საზოგადოებრივი განვითარება.

VI. პროგრესი და რეგრესი.

VII. სოც. - დემოკრატია, როგორც ანტი-საზოგადოებრივი, ანტი-სოციალისტური, ანტი-პროგრესიული ორგანიზაცია.

VIII. ანარქია.

## I

### მთავრობა და მისი ხასიათი.

მთავრობა, როგორც ურთიერთობა, უსათუოდ, ყველა შემთხვევაში გულისხმობს მმართველს და მართულს, მეთაურს და მორჩილს, ხელმწიფობას და ხელქვეითობას, ამ მცნებებს გარეშე არ არის მთავრობა.

მართვა მართულის ნიშნავს იმას, რომ სურვილი მმართველის ასასრულებლად დავალებულია მართულზე, მეთაურის სურვილის მორჩილია სხვა სურვილები, მმართველის ნება უძრავია, სავალდებულოა, „კანონია“ მართულისთვის.

მმართველობა გამოიხატება „კანონით“, რომელიც ნიშნობლივი ჩვეულებრივი ან სიტყვიერი გამოთქმაა მმართველი, უძრავი ნების და ამიტომ იმ ნაირადვე უძრავი, უცვლელი ხასიათისაა, როგორც ის ნება, რომელსაც ის გამოხატავს.

„კანონი“, როგორც უპირატესი, მმართველი ნების გამოხატულება არის მართულის, მორჩილის მოქმედების იძულებითი განსაზღვრა, მორჩილის, მართულის ნების განსაზღვრის საშუალებით.

მაშასადამე მმართველობის უკანასკნელი გამოთქმა, გამოხატულება ზნეობრივ იძულებითია გონებრივი იძულების, ნების იძულების და მათი გამოთქმის—,,კანონის'' საშვალებით.

ამიტომ იქ სადაც მართველობაა, იქ სადაც მთავრობაა, უსათუოდ კანონიც და ზნეობრივი, საქციელის, მოქმედების იძულებაც არის.

მთავრობა ,,კანონი'' და იძულება დაუშორებელნი არიან დროში და სივრცეში.

ამ ნაირად მთავრობა გამოიხატება:

1. კანონ მდებლობით: ღვთაებრივი და კაცობრიული.

2. კანონების აღსრულების დავალებით—იძულებით:

სანქციით:

1. მღვდლებით.

2. მსაჯულებით.

3. მხედრობით.

მსოფლიოს ხილვთიერ ურთიერ[თო]ბა, წეს-რიგი გახსნარცილულიაა [კა]ნონით'' და მისი აღსრულდეიით, [...] ცაზე, როგორც დედამიწაზე, ისე [...] მიანთა შორის, როგორც სხვა, [სა]რთის არსებათა შორის.

,,კანონი'' რომლის საშვალებით სწარმოებს სამყაროის მართვა-გა[...] ობა ორ გვარია, რადგან ორ გვა[რ]ის მეტაფიზიკური მათი საფუძვ[ლე]ბი, რომლებსაც კანონი გამოხატ[...]

განგება (провидѣніе) ღვთი[ს] ღვთაებრივი ,,კანონი''; ბუნება უძ[...] და მისი უძრავი ,,კანონებას'' მუდ[მ] მოქმედება.

ღვთაებრივი განგების წარმომა[...] გენლები და მისი ,,კანონის ძლვლ[...] აღმასრულებელნი მიწაზე არიან'' სასულიერო წოდება; უძრავი ბუნე[ბა] და მისი უძრავი კანონების წარმ[ო]მადგენლები და აღმასრულებლ[ები] არიან ყველა ისინი, ვინც ბუნება[ში] ხედავს ყოვლის ღვთაებას: პირვე[ლ] უკანასკნელის ნაწარმოებია.

ადამიანთა საზოგადოებრივ ურ[თი]ერთობის წარმოშობასთან და გან[ვი]თარებასთან ერთად ვითარდება [ზე]ციერი მთავრობაც, რადგან ზეც[...]

რა ეწერა შიდ? კარგად მოგეწონა რომ არ ამბობ?

მუშ. კი ბატონო, ვიცოდი რომ გულანძლამდა დასაწყისს, მაგრამ ქვე-ვით და ქვევით რომ წავიკითხე სტრიქონები, ცოტა არ იყოს, ჭკუამიდ შევიდა, და იმდენად ყურადღება არ მიმიქცევია იმ ლანძღვისთვის, რადგან ამნაირ ლანძღვა-გინებამიდ არც ჩვენი გაზეთი „ლამპარი“ ჩამორჩება და არც ჩამორჩენილა. მე ვიფიქრე ლანძღვასთან ლანძღვით დახვდა ანარქისტებიც-თქო.

სოც.-დემ. (აღელვებული ყვირის) ამხანაგებო! წარმოიდგინეთ თქვენ, ერთი მუშა გამოგვერევია ანარქისტების დამცველი, მგონია ლალატობს ჩვენს პრინციპებს. ასთე ამბობს, რომ ცოტა არ იყოს ჭკუამიდ შევიდა ანარქისტების აზრიო. მეხედეთ რას ამბობს? რაც ეკადრება ამხანაგებო ამ მუშას სასჯელად ეს თქვენთვის მიმინდვია.

მუშ. — რა ეკადრება და არაფერი, რა უნდა ეკადროს რაც მოეწონა ამ კაცს ის სთქვა და მისთვის ხომ ვერ ჩამოვახრჩობთ.

სოც.-დემ. (მეტის მეტი აღელვებით თვალებზედ ცრემლი ერევა) ამხანაგებო! გიწყრებათ ღმერთი ხმას არ იღებთ ჩვენ გალანძღვისთვის? გიწყრებათ ღმერთი ღალატობთ ჩვენ პრინციპებს? გიწყრებათ ღმერთი არ ასამართლებთ ჩვენ მოღალატე მუშას?

მუშები. (ძლიერ აგიტაციის საშვალებით აღელვებული გაიძახიან) ბოიკოტი! ბოიკოტი იმ მუშებს, რომლებიც ზიზღს არ გამოუცხადებენ ანარქისტებს ლანძღვა გინებისთვის.

ს.-დემ. (ცოტა დამშვიდდება). დიახ, ამხანაგებო! ზიზღი და სასტიკი პროტესტი ანარქისტებს ჩვენი მარქსის გალანძღვისათვის. სწორედ ამიტომ ვიყვირე, ამდენი, რომ თქვენ ერთხმად დაგექახათ ზიზღი და პროტესტი.

მუშები. რის ზიზღი და პროტესტი? (გაიძახიან ახალ მოსულები მუშები კრებაზედ).

ს.-დემ. ხუთუ ამხანაგებო! ყოველთვის აგიტაცია გქირიათ და აღელვება ზიზღის და პროტესტის გამოცხადებისთვის ანარქისტებზედ, ისთე ვერ მიხვდებით? არ იცით ვილას ეკუთვნის ზიზღი და პროტესტი?

მუშები. კი ვიცით კი, (გაიძახიან მუშები ახალმოსულნი) გაგვახსენდა ეხლა: მირს მეფე, ზიზღი და პროტესტი ბურჟუა-კაპიტალისტებს.

სოც.-დემ. — რაც შეგშალათ ჭკუაზედ თქვენ ოჯახ-ქორებო! ხალვიხევი ხომ არ ხართ? კიდევ გაგიმეორებ ზიზღი და პროტესტი ანარქისტების და მისს გაზეთებს ზიზღი, ზიზღი, გესმით თუ არა?!

მუშები. უკაცრავათ ბატონო, უკაცრავად შეცდომამიდ შევედით უცებ, და პროტესტი ანარქისტებს, და არა ბურჟუა-კაპიტალისტებს.

სოც.-დემ. ეს არაფერია, აქ ცოტა მხოლოდ შეცდომაა, თუმცალა ზიზღი და პროტესტი ბურჟუა-კაპიტალისტებსაც ეკუთვნის მაგრამ ჯერ ადრეა კიდევ.

მუშები. ააა როდის, როდის ბატონებო! ჩვენი მტრები ისინი არიან გვგონია და არა ანარქისტები.

ს.-დემ. ჯერ დიდიხანია იქამდინ ამხანაგებო! ჯერ ისინი უნდა განვითარდენ უკანასკნელ წერტილამდე და მერმედ მივალთ იერიშით ბურჟუ-კაპიტალისტებზედ.

მუშები. ბურჟუა-კაპიტალისტებისთვისაც ყოფილა საჭირო განვითარებაა?! ეს კი არ ვიცოდით. (გაისმის ჩუმი ლაპარაკი აქ-იქ ზოგიერთ მუშების).

ს.-დემ. დიახ! დიახ! ამხანაგებო! განა არ იცოდით დღემდე?! ეს აუცილებელი მსვლელობაა კაპიტალიზმის, და არა გაეწყობა რა.

მუშები. მაშ მასთე იყოს ბატონებო! თქვენი ნებაა რასაც იტყვით.

ს.-დემ. მაშ ეხლა ხელი მოაწერეთ პროტესტზედ და ზიზღზედ (უჩვენებს სიას) ანარქისტების წინააღმდეგ.

მუშები. კი ბატონო? ნება თქვენია, რატომ არ მოვაწერთ (ართმევენ ხელიდგან და აწერენ ხელს).

ს.-დემ. ერთ რამეს გეტყვით კიდევ ამხანაგებო! გაფრთხილება მივცეთ ანარქისტებს, რომ შემდეგისად „მუშის“ სახელით ნუ უშვებს ამ გაზეთს.

მუშები. ესეც თქვენი ნებაა, თანახმა ვართ ჩვენც, თქვენი ბრძანების.

ს.-დემ. მაშ ეხლა მშვიდობით ამხანაგებო! ხვალ გამოვაცხადებთ გაზეთ „ლამპარ"შიდ“ თქვენ მიერ გამოცხადებულ პროტესტს ანარქისტების წინააღმდეგ. აგრეთვე ჩვენი თანამშრომელი „ლამპარის“ „ეშმაკიც“ ემზადება ანარქისტების წინააღმდეგ გალაშქრებას, ისეთი ლექსი მეთხზა, რომ დიდებულ პოეტს აკ. წერეთელსაც გაუქიოდება იმისთანა ლექსის გამოთქმა. საუცხოვოა, საუცხოვო. ასთე რომ ანარქისტები იმ ლექსის წაკითხვის შემდეგ სირცხვილით ხმასაც ვერ ამოიღებენ. მაან ხელ გვიწყობს ჩვენი თანამშრომელი „ეშმაკი“, როგორც ლექსებით ისთე სამასხარო ზღაპრებით, თორემ ჩვენი საქმე ცუდათ წავიდოდა დღემდე. ამასთან კიდევ ნუ დაგავიწყდებათ ამხანაგებო. ჩვენი ლეოც ემზადება საკრიტიკოდ ანარქისტების წინააღმდეგ და ასთე ამ გვარად თქვენი შემწევნობით და ხელის მოწერით ზიზღზედ და პროტესტზედ მალე გავდევნით ანარქისტებს თავისს ქურხალ „ნობათით“ და გაზეთ „მუშით“. მაშ გაუმარჯოს ამხანაგებო ეშმაკის ლექსს ანარქისტების წინააღმდეგ და ჩვენ ლეოს კრიტიკას, უსურვებთ ბ-ნ ლეოს მშვიდობიანად და გამარჯვებით დაეთავებინოს თავისი კრიტიკა.

მუშები. გაუმარჯოს, გაუმარჯოს, როგორც „ეშმაკს“ ისთე „ლეოს“

ს.-დემ. მაშ ნუ დაგავიწყდებათ ამხანაგებო ხელის მომწერლები პროტესტზედ ბევრი იშოვნეთ და ვინც ხებაზედ არ დაგყვეთ, სასტიკი ბოიკოტი გამოუცხადეთ.

აგრეთვე ჩვენ მზად ვართ კიდევ წერილი გაუგზავნოთ „ლადოს“ ქიათურაში და იქაც ხელის მოწერა გამართოს ანარქისტების წინააღმდეგ. ამასთან კიდევ ქიათურაში გავაფრთხილოთ ის მუშა, რომელმაც ამას წინედ რაღაც წერილი დასწერა გაზეთ „მუშაშიდ“. ბ-ნი იაფ-ფასიან სასადილოს კასირს რაღაც შეურაცხოფას აყენებს, იცოდეთ თვალ-ყური ვადევნოთ მუშებს არ გადაცდენ გზას და ანარქისტების აზრი არ შეითვისონ, თორემ დავიღუპებით როგორც ჩვენ, ისთე თქვენც მუშებო.

---

რი მთავარი, როგორც წარმოდგენილი, არის ქცია მიწიერი მთავარის, სარწმუნოება, როგორც მმართველობა ადამიანთა სულიერი ურთიერთობის გამოსახულებაა მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის მმართველობის.

ადამიანების საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად ვითარდება მისი სასულიერო და საერო მთავრობაც, სასულიერო და საერო „კანონიც“ და მათი აღმასრულებელი იძულებითი ძალაც; ესენი ყველა ერთად ვითარდებიან კაცობრიობის ისტორიის სხვა და სხვა საფეხურებზე, ისე რომ სასულიერო მთავრობა, „კანონი“ და იძულება ერთი მხრით და საერო მთავრობა, „კანონი“ და იძულება მეორე მხრით ხან დაუმორებელნი დროში, დამორებულნი არიან სივრცეში: სხვა და სხვა წარმომადგენლები ჰყავთ, ხან დაუმორებელნი არიან დროში და სივრცეშიც: ერთი და იგივე პირები გახაორციელებენ, როგორც სასულიერო, ისე საერო მთავრობას, „კანონს“ და იძულებას, სანქციას.

* *

მიუხედავათ იმისა, რომ თვით მთავრობა, „კანონი“ და იძულება დაუმორებელნი არიან დროში და სივრცეში, მათი წარმომადგენლობა სასულიერო და საერო მეტად ან ნაკლებად, დამორებულნი არიან ერთი მეორისაგან.

ადამიანთა საზოგადოებრივ განვითარებასთან ერთად ვითარდება სასულიერო და საერო უფლობანი (ВЛАСТИ) და როდესაც მათი გამოხატულებანი მთავრობა, „კანონი“ და იძულება დაამთავრებენ თავიანთ კონცენტრაციას, მაშინ იწყება მათი საერთო ცენტრალიზაცია: სასულიერო და საერო მთავრობა კავშირდებიან სასულიერო და საერო „კანონმდებლობა“ ერთი მეორეს უერთდებიან და სულ ყველა ერთად ერთიანდებიან იძულებითი სისტემაში—იბადება სახელმწიფო, რომელშიდაც სწარმოებს მათი გავლენის სფეროს კონცენტრაცია, ე. ი. ტერიტორიალური და საზოგადოებრივი ელემენტების (ადამიანების) და მათი ცხოვრების ფუნქციების კონცენტრაცია რამოდენიმე პირების ან ყველას ხელში.

ამ გვარად მთავრობა თავისი ატრიბუტებით არის უდაბლესი საფეხური იმის, რასაც მისი განვითარების უმაღლეს საფეხურზე ჰქვია სახელმწიფო.

სახელმწიფო არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც აწეს-რიგებს საზოგადოებრივ ცხოვრებას ადამიანებისას, რომელიც იმორჩილებს ყველას, ყველას სასარგებლოთ (?), რომლის გახყენებული სურვილი ყველასთვის სავალდებულოა, „კანონია“, რომელსაც ჰყავს ისეთი პირები, რომლებმაც სისრულეში უნდა მოიყვანონ მისი „კანონი“; რომლის უფლობა (ВЛАСТЬ) ვითარდება მის თეორეტიულ იძულების—„კანონის“—საშვალებით, მისი პრაქტიკული იძულების—მხედრობის—ომხმარებით, ე. ი. მისი ტერიტორიალური და ქვეშევრდომთა რიცხვის გაფართოებით.

მა მასადამე ყველა თქმულის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ სახელმწიფო არის ისეთი ორგანიზაცია, რომლითაც წეს-რიგი ადამიანთა შორის დამყარებულია, დამოკიდებულია უზენაეს უფლობისაგან, რომლის სურვილი თავის გავლენის სფეროში უმრავად ცნობილია, სავალდებულოა და მაშასადამე, რომელიც მით უფრო უახლოვდება თავის უმაღლეს განვითარებას, სისრულეს, რამოდენადაც მისი გავლენის წრე—ტერიტორია, ქვეშევრდომთა რიცხვი და მათი ურთიერთობის კონტროლი—უფრო ფართოვდება, ე. ი. სახელმწიფო არის უზენაესი უფლობის, მისი „კანონმდებლობის“ და იძულების ცენტრალიზაცია, ტერიტორიალური და ქვეშევრდომთა რიცხვის და მათი საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნქციის კონტროლის კონცენტრაცია.

სახელმწიფო არის მთავრობის უმაღლესი განვითარება და მაშასადამე იძულებითი ორგანიზაციის უდიდესი გაფართოება სიღრმეში და სიგანეში.

სახელმწიფო და საზოგადოება, ერთი მეორისაგან სავსებით განსხვავებული არიან, ამიტომ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი განვითარება სულ სხვა და სხვა გზით მიდიან.

მუშები. კარგი ბატონებო! კარგი! ვეცდებით შევასრულოთ ყოველივე თქვენი ბრძანება.

ს.-დემ. მაშ ასთე არ დაგავიწყდეთ, ეხლა კი ნახვამდის.

ახკანელი მუშა.

## რუსეთის ქრონიკა

ვარშავიდან ძალიან ბევრი ურიების ოჯახები მიდიან საზღვარ გარედ. ობერ პოლიცმეისტერი ყოველ დღე აძლევს 200 პასპორტს საზღვარ გარედ წასასვლელად. პოლიცია იარაღდება ბრაუნინგებით. სამხედრო სასამართლომ მეორედ გადუწყვიტა სიკვდილით დასჯა: ფეიბისიანს, კიმელმანს და ბუდილოვსკის.

კიევიდან მონარქიულ პარტიის თავჯდომარემ გაუგზავნა ტელეგრამმა თავჯდომარეს მურომცევს (კოპიო სუვორინს) სადაც ზიზღს უცხადებს სახელმწიფო საბჭოს და მის მოქმედებას. ამავე დროს გამოვიდა მოწოდება „ცენტრალურ სრულიად რუსეთის პატრიოტულ კომიტეტისა“, სადაც სახელმწიფო საბჭოს წევრებს კრამოლნიკებს უწოდებენ. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით: „დაჰკა მტრებს! გაუმარჯოს თვით სამართალს კრამოლნიკებზედ! დაიწყეთ მათი ხოცვა-ჟლეტა.

გაზ. „დუმის“ სიტყვით ამ უკანასკნელ დროს ქებული თავისი ერთგულობით სემიონოვის პოლკი უკმაყოფილებას აცხადებს, რომ მათ პირველათ გაგზავნიან ხოლმე ხალხის დასამშვიდებლად და ყოველ-დღე უჩიჩინებენ სასტიკათ მოექცნენ აჯანყებულ ხალხს.

კრასნოიარსკიდან ატყობინებენ გაზ. „დუმას“ შემდეგს ინციდენტს: 7 ივნისს პოლკოვნიკი შურინი, რომელიც ძლივს იდგა ფეხზედ, მიდიოდი კრასნოიარის პოლკის ახლო, მას მოესმა ჯარის-კაცთა სიცილი. პოლკოვნიკი მივარდა ერთ ჯარის კაცს და მძიმედ დასჭრა. ამ დროს ერთი ჯარის კაცი მივარდა შურინს დასცხო თავში და დასჭრა სამგან. ერთი ჯარის კაცი დაატუსაღეს, ამხანაგები შეიკრიბნენ და გადასწყვიტეს მოეთხოვათ მისი განთავისუფლება. მათ დასამშვიდებლად გაიგზავნა ოხოტნიჩი კომანდა ძალზედ მთვრალ შტაბ-კაპიტნის კოზმინის მეთაურობით. მან თავისი ხელით დასჭრა ორი ჯარის კაცი, მაგრამ თითონ იქვე იქმნა მოკლული თოფის ტყვიით. მოქალაქენი ძრიელ აღელვებულნი არიან.

„ნაშა ჟიზნის“ სიტყვით ზღვის მინისტრს მიურთმევია იმპერატორისათვის მოხსენება, რომელშიაც უთითებს არეულობაზედ ჯარში, რისთვისაც მისი აზრით საბჭოს დათხოვნას საშიშარი შედეგი მოჰყვება.

პეტერბურგის მიდამოს მეპურეებს, რომელნიც შეუერთდნენ გაფიცვას, მიწერ-მოწერა აქვთ გაფიცვის კომიტეტთან პეტერბურგში. მეპურეებს შეუერთდნენ ნოქრები კონდიტრებისა, რამაც ძალიან გაამაგრა გაფიცულთა პოზიცია. გაფიცვის კომიტეტი თავის მოწოდებაში წინადადებას აძლევს გაფიცულებს არავითარი მოლაპარაკება არ გამართონ კერძოთ ხაზეინებთან.

7 ივნისს შესდგა კრება პეტერბურგის პურის საცხობთა პატრონთა შორის. შეიკრიბა 300 მეტი კაცი. თავმჯდომარემ წაუკითხა იქ დამსწრეებს მოთხოვნილებანი, რომელნიც წარუდგინეს გაფიცულებმა. ხანგრძლივი ბაასის შემდეგ დაადგინეს ამოირჩიონ კომისია 30 კაცისაგან შემდგარი, რომელმაც უნდა შეიმუშავოს პირობები თანხმობისა გაფიცულებთან. ზოგიერთმა მათგანმა შეიტანეს წინადადება, შემდეგ კრებაზე მოიწვიონ მუშების წარმომადგენელი.

ორენბურგიდგან ატყობინებენ „ბირ. ვედ“. მუშათა მოძრაობა ქალაქში მძვინვარდება. ყოველ-დღე მუშები ჰმართავენ მიტინგებს ბევრს იჭერენ და საპყრობილეში ჰგზავნიან. გაიფიცნენ მეწისქვილეები.

სახელმწიფო საბჭოს წევრმა მიდვედიევმა მიიღო დაბა ვორონეჟიდგან ჩერნიგოვის მაზრაში შემდეგი დეპეშა: აგრარული მოძრაობა იზრდება. გაუნადგურებიათ თავად-კეკუაკოვის მამული. გადაუწვეს სახელმწიფო ტყე. მოსულ დრაგუნებმა ორჯელ ისროლეს, ბევრია დახოცილი და დაჭრილი. გთხოვთ ნუ დაიშლებით მანამ კარგათ არ გამოარკვევთ ძირითად საკითხებს: მიწა და თავისუფლება. სოფლელების მაგივრად. მოსამართლე გოლოხვასტი (სტრანა)

კურსკის გუბერნიაშიც დაიწყო გლეხთა მოძრაობა. დასწვეს ორი მებატონის სახლ-კარი. გაგზავნილნი არიან ყაზახები და ჯარი.

ამ ბოლო დროს სულ ხშირად სწერენ პროვინციალურ გაზეთებში აგრარულ მოძრაობაზედ. თითქმის მთელი შიდა რუსეთი მოდებულია ამ მოძრაობით. უმეტეს ნაწილად აჯანყება იჩენს ხოლმე თავს ისეთ ადგილებში სადაც გლეხს სულ ცოტა მიწა აქვს. და ამ შემთხვევაში უკმაყოფილობას გამოიწვევს ხოლმე, უთანხმოებას შესახებ არენდის გადახდისა. ზოგ ადგილებში ეს მოძრაობა იღებს ხასიათს. გაფიცვებისას.

## კორრესპონდენცია.

ქ. თელავი. მოსალოდნელი იყო თელავში საზაფხულოდ ბევრი ხალხი ჩამოვიდა. ყოველ საღამოობით ბულვარი სავსეა ახალგაზდობით, რომლებიც არშიყობით იქცევენ თავს. ახმაურდა თელავი და მას ბანი მისცა სოფლებმაც მკაცრი რეაქციით შეშინებული ხალხი. (უნდა აღვნიშნო, რომ აქ არავერი სამხედრო წესები არა ყოფილა, მარა ხულიგანებმა დიდი გავლენა იქონიეს ხალხზე და თითონ პოლიციელნიც ამ დღეში ადგებდნენ ხალხს) ცოტა წელში იმართება და ელოდება ნეტარ დროს. თელავის ზოგიერთა ხულიგანები კი ისევ განაგრძობენ თავიანთ საზიზღარ მოქმედებას. ხულიგანობაში სუყველას აჯობებს პოლიციელი (გოროდოვოი) ეგრეთ წოდებული „ყავი“. ეს ბატონი ორ პირად ექცევა ხალხს და თან სცდილობს რაიმე სიცრუე, ზნე მოუმატოს მებრძოლთ.

ეს ერთი კვირაა თითქმის, რაც გაიფიცნენ საუფლისწულო მამულის ყველა მუშები. სოფ. წინანდალში, ნაფარეულში, ზეგაანში, თელიანში და მუკუზანში. მუშებმა წარუდგინეს წმინდა ეკონომიური მოთხოვნილებანი. ჯერ როგორც ეტყობათ არც ერთი მხარე არ უთმობს და გაფიცვა უფრო მკაცრ ხასიათს იღებს. ეტყობათ ყველა ეს მუშები ერთი გრძნობით არიან გამსჭვალულნი: გაფიცვა ერთ დღეს მოხდა. საუფლისწულო მამულის მუშებს მხარი დაუჭირეს თელავის სახელოსნოს მუშებმა და „პრიკაზჩიკებმა“. 6 თიბათვეს ნაშუადღევის 3 საათზე გამოვიდნენ თავიანთ სახელოსნოებიდგან და მაღაზიებიდგან ვინც არ გამოდიოდა ძალით გამოჰყავდათ კარში. ყველა ესენი წავიდნენ ქალაქ გარეთ და დაიწყეს თავიანთ გაჭირვებულ მდგომარეობაზე ლაპარაკი. ბევრი თათბირის შემდეგ დაადგინეს ამოირჩიონ თავიანთ მხრიდგან, ყველა დარგიდგან, რამდენიმე კაცი და გაგზავნონ ხაზეინებთან შემდეგი მოთხოვნილებების წარსადგენათ: 1, იღებოდეს ყველა დუქნები 7 საათზე და იკეტებოდეს საღამოს 8 საათზე, 2, კვირა უქმე დღე ყველა დუქნები იყოს დაკეტილი, გარდა მეპურეებისა და ყასბებისა, რომელთა ნება აქვთ ღია ჰქონდეთ შუადღის 12 საათამდის. 3, გაფიცვის გამო არავინ იყოს დათხოვნილი. მერე წავიდნენ სუყველანი თავიანთ ადგილას. საღამოს 8 საათზე გამოვიდნენ სუყველანი, შეჯგუფდნენ ერთათ და ძალით
მოინდომეს თავიანთ მოთხოვნი-
ბების გაყვანა. ვინც დუქნი
მაღაზია არ დაკეტა იმას ქვებს
დნენ ხოლმე და ძალით აიძულ
დაეკეტათ. ეგრე გასტანა ორ
ამ გარემოებამ დიდათ
აქაური დიდ მუცელა, სქელ
ბურჟუები და ადმინისტრაცია.
ისევე დუქნების დაწვა არ
ორებოდა. მაზრის უფროსის
ნებით ქუჩებში დადიოდნენ
ბო დარაჯნი შეიარაღებულნი.
ერთმა ბურჟუებმა გვიანობამდის
დაკეტეს დუქნები და გან
დნენ ვაჭრობას იქამდე.
საეროზო დარაჯები დადიოდნენ
ყარაულობდნენ მათ, თუმცა
ჩაში დარაჯნი დაწანწალობდნენ
რამ საიდგანაც გამოისროლეს
დ ერთი დუქნის ფანჯარა, იქნა
ტვრეული. როგორც გადმო
პრიკაზჩიკების და ხაზეინების
გება დღეს უნდა მოხდესო.
ცი, საქმე რით დაბოლოვდება.

## დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშ

**პოლტავა.** სამი შეიარაღებ
კაცი, თავს დაესხნენ ყაზახის
დიკის სახლს. გაიტაცეს 70
და ნივთები, მიიმალნენ.

ბევრ მემამულეებს მოსდის
ხელო წერილები, შემდეგი წი
დებით: „აგიკლებთ“ო. გავრც
და მოწოდებები ინტელიგენ
და ებრაელების აწიოკების შეს

**ვილნა.** საგლეხო ბანკი
ლობს რაოდენიმე მამულს მეტ
გლეხებისათვის მისასყიდათ.

**ლოძი.** კინდლის ქარხ
გაიფიცნენ ათასი მუშა.

**ვარშავა.** დაიწყო მჭედ
გაფიცვა.

**პეტერბურგი.** 14 ივნისი.
ნისის დატოვებულ კალათაში
ტის რკინის გზის, ბარგის
ყოფილებაში აღმოჩენილ
თავ-მოჭრილი გვამი. როგო
აღმოჩნდა ეს გვამი იყო
გარეშე მყოფი დიაკვანის
ილინოვისა 35 წლისა,, რომ
მოკლულია გაძარცვის მიზნით
დიასახლისის, დიასახლისი ოქ
მკვდარს ძკრვალია—კუზნეცოვისა,
მზარეულ დედაკაცის ფედერო
დახმარებით. ბოროტ-განზრახვა
მოჩენილ იქმნა უწლოვან ყმაწ
ლისაგან. დამნაშავენი მიიმალნენ.

რედაქტორ-გამომცემელი
მიხეილ დიასამიძ

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი, პასკევიჩის ქუჩა სახ. № 3.